

უმიზნო ხეტიალი

ეს შემოდგომა და ეს მინდორი
მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის.
მაღლა გაფრენა მე მოვინდომე,
რადგან მიწაზე სული არ იცდის.

შრება სისხლისგან გული დ აუზი
და მიპყრობს ქუჩა, ვით თაფლი ფუტკარს
თითქმის ყოველდღე სასაფლაოზე
მხვდები მათხოვარს და პროსტიტუტკას.

ახლაც გარშემო მძიმე წამია,
ახლაც ქარში ვარ, თავს ვერ ვუშველე,
და ვესალმები იმ ადამიანს,
ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს.

და მაგონდება ისევ ის ღამე,
როცა მეძინა სანაგვე ყუთში.
ახლა ქარია, ტირის არღანი
და მოწყენილი ზის თუთიყუში.

შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ.
წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!

ისევ მიწაზე ვარ მიჯაჭული
(სადღაც შიშია, ვიღაც ფითრდება) .
მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული
და ჩემ საფლავთან ის დაფიქრდება.

და ასე ფიქრი უფრო ძნელია,
როცა თვალები ნათელს უცდიან.
ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა
ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა ბურუსია?!